ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მ/წ 04 ოქტომბრის №10/17638 წერილის და საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის იოსებ მანჯავიძის ანგარიშს დანართის სახით.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

ი.მანჯავიძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 3 ფურცელი
№10/17638 31.10.165

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ მანჯავიძის 2016 წლის ანგარიში

2016 წლის 1 იანვრიდან 30 ოქტომბრამდე მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 21 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 68-ზე მეტი დადგენილება და 313-მდე განკარგულება, განკარგულება, რომელთა განხილვის, შესწორებისა და სხდომებზე გატანის პროცესში აქტიურად ვმონაწილეობდი.

აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული და შემუშავებული იქნა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების სხდომებისას, რომლის წევრიც გახლდით 2016 წლის აგვისტომდე, ხოლო შემდგომ გახლავართ გარემოს დაცვის კომისიისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების წევრი.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მუშაობის ფარგლებში წევრის სტატუსით დავესწარი 26 სხდომიდან 24 სხდომას, რომლის ფარგლებშიც განვიხილეთ და გადაწყვეტილება მივიღეთ 524 საკითხზე. ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის მუშაობის ფარგლებში წევრის სტატუსით დავესწარი 11 სხდომას და განვიხილე 22 საკითხი.

გარემოს დაცვის კომისიის ფარგლებში წევრის სტატუსით დავესწარი 7 სხდომას და განვიხილეთ 20 საკითხი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის სტატუსით დავესწარი 5 სხდომას და განვიხილეთ 29 საკითხი.

2016 წლის სექტემბრიდან ვარ მიწის ლეგალიზაციის კომისიის მდივანი. კომისიამ ჩაატარა 22 სხდომა და განიხილა 1090 საკითხი.

ვიყავი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი "მყარი ნარჩენების გადამამამუშავებელი ქარხნის აშენებისათვის ინვესტიციების მოსაზიდად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრი, რომლის ერთწლიანი მუშაობის შედეგად 3 მაისს გაფორმდა მემორანდუმი კომპანია KDV-Georgia-სთან.

2016 წლის 5-6 აპრილს დავესწარი პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ ადგილობრივ ხელისუფალთა კონგრესს, სადაც გამოვედი სიტყვით "ჯანსაღი ცხოვრების წესი და მდგრადი სოციალური გარემო". უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონგრესზე ჩატარდა წინა კონგრესზე ჩვენი ინიციატივით დაგეგმილი საქართველოს დღეები, რა დროსაც მოხდა თბილისის, როგორც

ტურისტებისათვის მიმზიდველი ქალაქის რეკლამირება. ხოლო ქართულმა პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ასევე, 5-6 სექტემბერს მონაწილეობა მივიღე კრინიცა-ზდრუეს 26-ე ეკონომიკურ ფორუმში, სადაც გამოვედი სიტყვით თემაზე "აღმოსავლეთის პარტნიორობა-მომავალი გამოწვევები".

10-12 სექტემბერს ვიმყოფებოდი ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში, სადაც გვქონდა შეხვედრა პრაღის მერთან ბატონ ოლდრიხ ლომეცკისთან. განვიხილეთ ძველი ისტორიული ნაგებობების შენარჩუნებისა და გამოყენების საკითხები. დაიგეგმა ბატონი ლომეცკის ჩამოსვლა თბილისში და თანამშრომლობის გზები.

2016 წლის განმავლობაში აქტიურად ვხვდებოდი მოქალაქეებს და ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვეხმარებოდით მას.

მიმდინარე წელს გამოვაქვეყნე ჩემი წიგნი "გეოპოლიტიკური ნარკვევები". სხვადასხვა გამოცემებში დაიბეჭდა ჩემი ათეულობით ინტერვიუ და სტატია.

ასევე, აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას სხვადასხვა სატელევიზიო არხების გადაცემებში.

აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს 2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 30 ოქტომბრის საანგარიშო პერიოდს.